



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000081058547417

0900 ქ. ახმეტა ჩილოყაშვილის ქ. N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 11

03 / აპრილი / 2017 წ.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის N319-ე დადგენილების მე-8 მუხლით განისაზღვრა მუნიციპალიტეტის წლიური სასწავლო გეგმის, როგორც მოხელეების სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზების ძირითადი დოკუმენტის შემუშავების ვალდებულება, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოხელეთა სწავლების პრიორიტეტულ მიმართულებებს, მოხელეთა რაოდენობას, აგრეთვე სწავლების ორგანიზების სხვა ძირითად საკითხებს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის N319-ე დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების 2017 წლის სასწავლო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. მუნიციპალიტეტის წლიური სასწავლო გეგმა გაეზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ვანო ხუჩუნიანიშვილის სახელობის ევექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრს და საჯარო სამართლის იურიდიული პირს – საჯარო სამსახურის ბიუროს, მოხელეთა სწავლების საჭიროებათა ვლევებისა და სისტემატიზაციისათვის.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქვეყნდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისას ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე



თამარ ყვირიანიშვილი

დანართი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების 2017 წლის სასწავლო გეგმა

N	სწავლების სახეობა	მოხელეთა რაოდენობა	სწავლების ფორმა	სწავლების ვარიანტი/კვარტალი	რესასწავლო საკითხები აღნიშნულ სწავლების სეზონში	დაფინანსება ბიუჯეტურიდან (ლარი)	დაფინანსება სხვა წყაროდან
1	ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი რეგულირება	1	მოკლევადიანი ტრენინგი	III კვარტალი		500	
2	ფინანსური მართვა და ბუღალტერია	4	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი		2000	
3	ადმინისტრაციული წარმოება	1	მოკლევადიანი ტრენინგი	III კვარტალი		500	
4	სამართლებრივი აქტის მომზადების ტექნიკები	2	მოკლევადიანი ტრენინგი	III კვარტალი		1000	
5	მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა	1	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი		500	
6	მცარი (სავოფანდოვრო) ნაჩვენების მართვა	1	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი		500	
7	გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება	1	მოკლევადიანი ტრენინგი	III კვარტალი		500	
8	მმუნიციპალიტეტის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება	2	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი		1000	

9	სოციალური დაცვის და ჯანდაცვის საკითხები მუნიციპალურ ტემში	2	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი		900	
10	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	1	მოკლევადიანი ტრენინგი	III კვარტალი		500	
11	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	2	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი		1000	
12	საზოგადოებასთან ურთიერთობა	1	მოკლევადიანი ტრენინგი	III კვარტალი		500	
13	შიდა აუდიტი	1	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი		500	
14	პროექტის გიკლის მართვა	2	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი		1000	
15	კომპიუტერული პროგრამები (Word, Excell, Power Point და ხვა)	2	მოკლევადიანი ტრენინგი	III კვარტალი		1000	
16	სამხედრო გაწვევის საკითხები	2	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი		1000	
17	კულტურის სფეროს მართვა	1	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი		500	
	სულ	27				13 400	